ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №49[1]

გამარტივებული შესყიდვა

44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები

ქ. თერჯოლა 30 ივლისი 2017 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ. „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“ წარმოდგენილი დირექტორის მაია თორთლაძის სახით (შემდეგში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ი.მ. „მამაუკა ბოჭორიშვილი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს ფილიალის საბავშვო ბაგა-ბაღების მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად საჭირო სამშენებლო მასალის (ცემენტი) შეძენის მიზნით გამოიყენა ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდი, რისთვისაც შერჩეულ იქნა ი.მ. „მამუკა ბოჭორიშვილი“.

2. ხელშეკრულების ფასი

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 500 (ხუთასი) ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობა:

3.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის საჭირო სამშენებლო მასალა (ცემენტი) მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

3.3. „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას „მიმწოდებელს“ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

4.1. მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში.

4.2. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ - ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად. თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6.2. ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 30 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი	ი.მ „მამუკა ბოჭორიშვილი“
მისამართი: თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109	მისამართი: თერჯოლა, რუსთაველის 71
საიდენტიფიკაციო კოდი: 231948863	საიდენტიფიკაციო კოდი: 21001013115
ანგ. №: GE72LBO115137014465000	ანგ. №: GE48BG0000000348111800
ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“	ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
დირექტორი მაია თორთლაძე	
----------	----------